ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 267

ქალაქი ქუთაისი 31 იანვარი 2024 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილის
ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24–ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №27 დადგენილების დანართის მე–6 მუხლის მე–4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

მუხლი 1. შეფასდეს დადებითად ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილის ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

(ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილის ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ წინამდებარე განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა № 11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ——— ირაკლი შენგელია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

საქართველო ქ. ქუთაისის
ს ა კ რ ე ბ უ ლ ო
გას. № 104
1 01 2024 წ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2024 წლის 31 იანვრის
№267 განკარგულების დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილის
ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შ ე ს ა ხ ე ბ

ბიუჯეტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2022 წლის 28 დეკემბერს №55 დადგენილებით და განისაზღვრა 101 484,7 ათასი ლარით, როგორც შემოსულობების, ისე ხარჯვით ნაწილში. ბიუჯეტში წლის მანძილზე განხორციელდა სულ 5 ცვლილება და საბოლოოდ დაზუსტდა 131 146,8 ათასი ლარით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობებმა სულ შეადგინა 130 262,1 ათასი ლარი, რაც გეგმის (131 146,8 ათასი ლარი) 99,3%-ია.

გადასახადებიდან სულ შემოვიდა 67 917,7 ათასი ლარი, მათ შორის გადასახადი ქონებაზე 12 461,3 ათასი ლარი, ხოლო დამატებული ღირებულების გადასახადი - 55 456,4 ათასი ლარი.

საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტების სახით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შემოვიდა 570,9 ათასი ლარი, კაპიტალური დანიშნულების გრანტების სახით მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 13 290,7 ათასი ლარი.

2023 წლის განმავლობაში ბიუჯეტში, დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტის სახით შემოვიდა 594,5 ათასი ლარი.

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელმა შეადგინა 1 077,8 ათასი ლარი, ხოლო მოსაკრებელმა დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 3 570,2 ათასი ლარი. სანებართვო მოსაკრებლის სახით ბიუჯეტში შემოვიდა 974,3 ათასი ლარი.

შემოსულობებმა არაფინანსური აქტივების გაყიდვიდან მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში შეადგინა 10 763,3 ათასი ლარი.

„ინფრასტრუქტურის პრიორიტეტის“ გეგმა დამტკიცებულ ბიუჯეტში განისაზღვრა 24 500,6 ათასი ლარით, ხოლო მე-5 ცვლილებით დამტკიცებულ ბიუჯეტში გეგმა გაიზარდა 14 759,7 ათასი ლარით და შეადგინა 39 260,3 ათასი ლარი.

„დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის“ დამტკიცებულმა გეგმამ შეადგინა 9 076,6 ათასი ლარი, ხოლო დაზუსტებული გეგმა გაიზარდა 4 159,8 ათასი ლარით და შეადგინა 13 236,4 ათასი ლარი.

„განათლების პრიორიტეტის“ გეგმა დამტკიცებულ ბიუჯეტში განისაზღვრა 17 483,7 ათასი ლარით, ხოლო დაზუსტებულ ბიუჯეტში - 21 642,5 ათასი ლარით. ზრდამ შეადგინა 4 158,8 ათასი ლარი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით, რომელიც შეადგენდა 20 993,4 ათას ლარს, 5 707,8 ათასი ლარით გაიზარდა „კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის“ პრიორიტეტი და შეადგინა 26 701,2 ათასი ლარი.

„ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების“ გეგმა ბიუჯეტში განსაზღვრულია 7 985,2 ათასი ლარი; დაზუსტებულმა ბიუჯეტმა შეადგინა 7 993,2 ლარი.

„ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის პრიორიტეტის“ დამტკიცებული გეგმა შეადგენს 1 420,0 ათას ლარს, დღეის მდგომარეობით ხარჯი შეადგენს 1190,7 ათას ლარს.

მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური

2023 წელს ინფრასტრქუტურის განვითარებასა და მოვლა-პარტონობაზე გამოყოფილი დაფინანსების ჯამურმა მოცულობამ შეადგინა 33,8 მლნ. ლარი. მათ შორის:

რგპფ – 10,8 მლნ. ლარი;

კაპიტალური ტრანსფერი – 10 მლნ. ლარი;

სტიქიის ფონდი – 2,3 მლნ. ლარი;

მუნიციპალური განვითარების ფონდი – 2 მლნ. ლარი;

ადგილობრივი სახსრები – 8,7 მლნ. ლარი;

დაფინანსების ლოკაცია პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით:

საგზაო ინფრასტრუქტურა – 9,2 მლნ. ლარი (11 ობიექტი);

ფასადები და ურბანული განახლება – 2,8 მლნ. ლარი (15 ობიექტი);

კულტურული და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა – 2 მლნ. ლარი (2 ობიექტი);

სპორტული სკოლების ინფრასტრუქტურა – 3,2 მლნ. ლარი (4 ობიექტი);

სკვერები და რეკრეაციული ინფრასტრუქტურა – 4,3 მლნ. ლარი (2 ობიექტი);

სტიქიის შედეგად დაზიანებული სახურავების რეაბილიტაცია – 1,8 მლნ. ლარი (49 ობიექტი);

სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია – 1 მლნ. ლარი (14 ობიექტი);

სადარბაზოების რეაბილიტაცია – 1 მლნ. ლარი (46 ობიექტი);

ლიფტების რეაბილიტაცია – 207 ათასი ლარი (8 ობიექტი);

პარაპეტების რეაბილიტაცია – 116 ათასი ლარი (12 ობიექტი);

მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია – 32 ობიექტი - 531 ათასი ლარი;

თავისუფალი ინიციატივები – 449 ათასი ლარი (11 ობიექტი);

საყრდენი კედლების მშენებლობა – 411 ათასი ლარი (8 ობიექტი);

ტურისტული ინფრასტრუქტურა – 3,1 მლნ. ლარი (2 ობიექტი);

საექსპლოატაციო ტიპის ღონისძიებები (ასფალტის, გრანიტის, მწვანე საფარისა და შადრევნების მოვლა – პატრონობა) – 2,6 მლნ. ლარი.

რგპფ	სულ ღირებულება	რგპფ	კატეგორია	ობიექტი
ცენტრალური სამუსიკო სკოლის რეაბილიტაცია	1,101,126.00	901,399.0	კულტურა	1
ხახანაშვილის ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	199,223.00	118,531.0	საგზაო	1
ზ.გამსახურდიას ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	4,752,782.00	4,471,225.0	საგზაო	1
ასათიანის ქუჩის №139 სახლის ფასადის რეაბილიტაცია	155,555.00	147,777.0	ფასადი	1
დუმბაძის ქუჩის №2 სახლის ფასადის რეაბილიტაცია	206,986.00	196,636.0	ფასადი	1
ე.წ. ნინოშვილის სკვერის რეაბილიტაცია	1,250,818.00	1,188,280.0	სკვერი	1
საჭადრაკო სკოლის რეაბილიტაცია	494,675.00	469,942.0	სპორტი	1
ნიჩბოსნობის სკოლის რეაბილიტაცია	910,956.00	865,408.0	სპორტი	1
სადარბაზოების რეაბილიტაცია	480,059.00	456,053.0	საბინაო	
კოლხეთის ქუჩის ღვარსადენის რეაბილიტაცია	210,527.00	200,000.0	სანიაღვრე	1

ხარებავას №52 სპორტ დარბაზის რეაბილიტაცია	168,422.00	160,000.0	სპორტი	1
პეტრიწის მეორე შესახვევის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	210,527.00	200,000.0	საგზაო	1
ავალიანის ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	210,527.00	200,000.0	საგზაო	1
ასათიანის ქუჩის №94 სახლის ფასადის რეაბილიტაცია	131,579.00	125,000.0	ფასადი	1
ხუნდაძის ქუჩის №50-54 საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	279,864.00	265,000.0	საგზაო	1
ჯამი	10,763,626.00	9,965,251.0		14

სულ	რგპფ	კატეგორია	ობიექტი
5,652,923.00	5,254,756.00	საგზაო	5
494,120.00	469,413.00	ფასადი	3
480,059.00	456,053.00	საბინაო	26
1,101,126.00	901,399.00	კულტურა	1
1,574,053.00	1,495,350.00	სპორტი	3
1,250,818.00	1,188,280.00	სკვერი	1
210,527.00	200,000.00	სანიაღვრე	1
10,763,626.00	9,965,251.00	ჯამი	40.00

კაპიტალური ტრანსფერი	სულ	კატეგორია	ობიექტი
ილ.ჭავჭავაძის გამზირის ტროტუარები	1,727,727.00	საგზაო	1
ავტომშენებლის გამზირის ტროტუარები	445,000.00	საგზაო	1
ჩოგბურთის კორტები	1,645,000.00	სპორტი	1
ატოქარხნის სკვერი	3,030,000.00	სკვერი	1
ციფრული განათლების და შემოქმედებითი ინდუსტრიების ცენტრი	900,000.00	განათლება	1
რუსთაველის გამზირის სახლების ფასადები	733,673.00	ფასადები	1
ჯავახიშვილის ქუჩის №1-2 სახლების ფასადები	800,000.00	ფასადები	2
რუსთაველის გამზირის №24 სახლის ფასადი	498,600.00	ფასადები	1
რუსთაველისა და აბაშიძის გამზირების კვეთაზე კუნძულების გამწვანება	220,000.00	საგზაო	1
ჯამი	10,000,000.00		10

სულ	კატეგორია	ობიექტი
2,392,727.00	საგზაო	3
1,645,000.00	სპორტი	1
3,030,000.00	სკვერი	1
900,000.00	განათლება	1
2,032,273.00	ფასადები	4
10,000,000.00		10

სულ

სტიქიის ფონდი	სულ	კატეგორია	ობიექტი
სახურავები (მასალა)	390,987.50	სახურავები	25550 კვ.მ.
სახურავები (სამუშაოები)	1,377,441.16	სახურავები	49
გაფრინდაშვილის ქუჩის მეორე ჩიხის საგზაო ინფრასტრუქტურა	401,461.00	საგზაო	1
მანდარიასა და შანიძის ქუჩების საგზაო ინფრას-ტრუქტურის აღდგენა	153,427.00	საგზაო	2
ჯამი	2,323,316.66		52

სულ	კატეგორია	ობიექტი
390,987.50	სახურავები (მასალა)	25550 კვ.მ.
1,377,441.16	სახურავები (გადახურვა)	49
554,888.00	საგზაო	3
2,323,316.66		52

ადგილობრივი ბიუჯეტის პროგრამები (კაპიტალური სამუშაოები)	პროგრამის ბიუჯეტი (ათასი ლარი)	ღონისძიებების რაოდენობა
გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება	604.2	6
სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია-მშენებლობა	790.0	12
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა	15.8	1
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ლიფტების რეაბილიტაცია	207.5	8
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების ფურნიტურა	4.7	1
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების წყალსაწრეტი მილებისა და პარაპეტების რეაბილიტაცია	115.8	12
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მცხოვრებთათვის სხვადასხვა სახეობის მასალის შეძენა–გადაცემა და დაზიანებული სახურავების შეკე-თება	531.6	32
ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით თავისუფალი ინიციატივე-ბის განხორციელება	449.3	11
მემორიალური დაფებისა და ძეგლების მოწყობა	22.6	8
მრავალსართულიანი სახლების ფასადების რეაბილიტაცია (ავტომშენებ-ლის გამზირის ფასადების ნაშთები)	272.1	8
ქალაქში საყრდენი და დამცავი კედლების მშენებლობა	411.7	8
ადმინისტრაციული ორგანოების შენობების მშენებლობა–რეკონსტრუქცია	60.3	2
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების რეაბილიტაცია (შიდა სამუშაოების გათვალისწინებით)	544.9	20
ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	1,142.3	1
ქალაქის გამწვანების მოვლა–პატრონობისა და სკვერების კეთილმოწყობის ღონისძიებები	152.1	2
საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარება	196.0	2
სხვადასხვა სახეობის სპორტულ – გამაჯანსაღებელი და დასასვენებლად განკუთვნილი ობიექტების მოწყობა – რეაბილიტაცია -ექსპლოატაცია	507.3	6
	6,028.20	

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მოვლა – პატრონობა	ხარჯი (ათასი ლარი)	
ვიდეო – სამეთვალყურეო კამერების შემენა – ექსპლოატა-ცია	139.30	64 ერთეული ვიდეო კამერა
გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება	1,150.70	შეკეთდა 20 ათას კვ.მ. გზისა და ტროტუარის საფარი
ბუნებრივი სასულეების ექსპლოატაცია	45.30	21 ერთეული ბუნებრივი სასულე
ქალაქის გამწვანება, მოვლა – პატრონობა და სკვერების კეთილმოწყობა	1,085.50	71 ერთეული რეკრეაციული ობიექტი
შადრევან – აუზების ექსპლოატაცია – რეაბილიტაცია	414.00	9 ერთეული შადრევანი
	2,695.50	

„ოქროს ჩარდახის" რეაბილიტაციის მიზნით მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გამოყოფილმა თანხამ შეადგინა 2 000 000 ლარი. პროექტი არის გარდამავალი და მიმდინარეობს დღესაც.

სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახური

2023 წლის განმავლობაში სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის მიერ: I კლასის (მცირე არქიტექტურული ობიექტები) მშენებლობის ნებართვა გაიცა სულ 374 ობიექტზე, ლეგალიზება განხორციელდა 19 ობიექტზე, მშენებლობის დეტალური შეტყობინების ნებართვა გაიცა 109 ობიექტზე, მშენებლობის ნებართვა გაიცა 344 ობიექტზე. სამშენებლო ნებართვების მოსაკრებელის სახით 2023 წლის განმავლობაში ბიუჯეტში სულ ჩაირიცხა 974 300 ლარი.

ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახური

სახელმწიფოს საკუთრებიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადმოეცა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მასზედ განთავსებული შენობა-ნაგებობით, მიწის მთლიანი ფართი დაახლოებით შეადგენს 8 ჰექტარს.

ასევე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირდა 19 ერთეული არასასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ფართობი: დაახლოებით, 1,5 ჰექტარი).

2023 წლის პერიოდში გამოცხადდა 30 ელექტრონული აუქციონი 75 ლოტზე. გასხვისდა და საკუთრების უფლების მოწმობა გაიცა 25 ერთეულ უძრავ ქონებაზე (მათ შორის: 23 ერთეული არასასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და 2 ერთეული მიწის ნაკვეთი, მასზედ განთავსებული შენობა-ნაგებობით).

მათგან ბიუჯეტში მობილიზებულია 8 054 860.00 ლარი. აგრეთვე, შენობა – ნაგებობის დაშლა – გატანით პრივატიზებისგან შემოსულია 88 050.00 ლარი.

9 ერთეული უძრავი ქონება (5 ლოტი) გასხვისდა პირობებით, რომლისგანაც 2024 წლის პერიოდში ადგილობრივ ბიუჯეტში 6,5 მილიონი ლარი ჩაირიცხება.

სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების გასხვისებით ადგილობრივ ბიუჯეტში 2023 წლის პერიოდში სულ ჩაირიცხა 2 570 385.00 ლარი.

აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტში უძრავი ქონების გასხვისებიდან დაგეგმილი იყო 7,5 მლნ. ლარის შემოსავალი, რომელიც 2023 წლის პერიოდში ეტაპობრივად შეიცვალა და გაიზარდა 10,5 მლნ. ლარამდე. მთლიანად შემოსულია 10 713 295 ლარი.

სოციალურ საკითხთა სამსახური

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N55 დადგენილების საფუძველზე ბიუჯეტით დამტკიცებულ იქნა 31 ქვეპროგრამა და ბიუჯეტი განისაზღვრა 6 534 200 ლარით.

აღნიშნული ქვეპროგრამების ფარგლებში ბენეფიტებით სარგებლობენ სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარები, ესენია: შშმ პირები, მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახები, სოციალურად დაუცველი ოჯახები, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები, ავღანეთის ომის ვეტერანები, 2004 წელს აგვისტოს ქართულ-ოსურ კონფლიქტსა და 2008 წლის 8 აგვისტოს ქართულ ომში დაღუპული მეომრების ოჯახები, 26 აპრილს ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ლიკვიდაციის მონაწილე პირები, შშმ ვეტერანები, „60+" ხანდაზმულთა კლუბის წევრები, იძულებით გადაადგილებული პირები, მრავალშვილიანი ოჯახები, მარტოხელა მშობლები, დღის ცენტრით მოსარგებლე ბენეფიტები და სხვა.

მიმდინარე წლის განმავლობაში დაიხარჯა 6 189 644, 08 ლარი (95%)

საანგარიშო პერიოდში მიღებულ იქნა 13228 განცხადება (წერილი).

1 „სამედიცინო დახმარების" ქვეპროგრამის ბიუჯეტი იყო 1500000 ლარი.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მძიმე, სიცოცხლისათვის საშიში დაავადების მქონე და განსაკუთრებული შემთხვევის შედეგად დაავადებული, გადახდისუუნარო პირების სამედიცინო მომსახურებას, დიაგნოსტიკისა და შემდგომი მკურნალობის ხარჯის (თანადაფინანსების პრინციპით) ანაზღაურებას.

დახმარებით ისარგებლა 3314 ბენეფიციარმა.

სულ დახარჯულმა თანხამ შეადგინა 1 381 232,02 ლარი (92 %).

2. „მედიკამენტებით უზრუნველყოფის" ქვეპროგრამის ბიუჯეტი იყო 247 000 ლარი.

ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებს მიეკუთვნებიან: ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დაფიქსირებული 70001–მდე სარეიტინგო ქულის მქონე პირები (ისარგებლა 382-მა ბენეფიციარმა); ნათესაურ და არანათესაურ მინდობაში მყოფი შშმ ბავშვები (ისარგებლა 3-მა ბავშვმა); ომისა და სამხედრო ძალების შშმ ვეტერანები (ისარგებლა 28 პირმა); მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული მხედველობით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები (ისარგებლა 93-მა ბენეფიციარმა); ჰემოდიალიზზე მყოფი პაციენტები (ისარგებლა 97–მა ბენეფიციარმა).

დახმარებით ისარგებლა სულ 603–მა ბენეფიციარმა.

სულ დახარჯულმა თანხამ შეადგინა 230 387,95 ლარი (93 %).

3. „ეპილეფსიით დაავადებულ პირთა ანტიკონვულსანტებით უზრუნველყოფის" ქვეპროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 30000 ლარს.

ქვეპროგრამით მოსარგებლე პირები არიან ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული ეპილეფსიით დაავადებული პირები.

დახმარებით ისარგებლა 48 ბენეფიციარმა.

სულ დახარჯულმა თანხამ შეადგინა 28 420,47 ლარი (95 %).

4. „ფენილკეტონურიითა და ცელიაკიით დაავადებულ პირთა დახმარების“ ქვეპროგრამის ბიუჯეტი იყო 129 000 ლარი.

ქვეპროგრამით მოსარგებლე, ფენილკეტონურიითა და ცელიაკიით დაავადებულ არასრულწლოვან პირებს მატერიალური დახმარება გაეწიათ მათი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ხოლო სრულწლოვან პირებს პირადი განცხადებით მომართვის საფუძველზე. დახმარების ოდენობა განისაზღვრა, თვეში 300 ლარის ოდენობით.

დახმარებით ისარგებლა 40 ბენეფიციარმა.

სულ დახარჯულმა თანხამ შეადგინა 125 100,00 ლარი (97%).

5. „სოციალური საცხოვრისის კომუნალური ხარჯების უზრუნველყოფის“ ქვეპროგრამის ბიუჯეტი განსაზღვრული იყო 50000 ლარით.

ქვეპროგრამით განხორციელდა ქალაქ ქუთაისში, ზ.ჭავჭავაძის ქუჩის №1 და №3–ში მდებარე სოციალური საცხოვრისის მობინადრეთა მიერ დახარჯული ელექტრო ენერგიისა (თითოეულ აბონენტს თვეში არაუმეტეს 60 ლარისა) და ცენტრალური გათბობისათვის საჭირო ბუნებრივი აირის თანხების ანაზღაურება წარმოდგენილი ქვითრების შესაბამისად, ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით. ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩის №40–ში მდებარე სოციალური საცხოვრისის ბენეფიციარების მიერ დახარჯული ელექტრო ენერგიის თანხის ანაზღაურება ხდება წარმოდგენილი ქვითრების შესაბამისად, ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით ლიმიტის ფარგლებში.

დახმარებით ისარგებლა 95–მა ოჯახმა.

სულ დახარჯულმა თანხამ შეადგინა 36 914,28 ლარი (74%).

6. „მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების“ ქვეპროგრამის ბიუჯეტი იყო 1100000 ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში, მიმდინარე პერიოდში ყოველთვიური მატერიალური დახმარებით ისარგებლა მრავალშვილიანმა 681–მა ოჯახმა, მათ შორის:

მეოთხე და მომდევნო ბავშვის შეძენაზე დახმარებით ისარგებლა 40–მა ოჯახმა.

ერთჯერადი მატერიალური დახმარებით ისარგებლა 196–მა მრავალშვილიანმა ოჯახმა.

„მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების“ პროგრამის ფარგლებში მრავალშვილიანი ოჯახებისათვის მოხმარებული ელ.ენერგიის თანადაფინანსებით მიმდინარე პერიოდში ისარგებლა 165–მა ოჯახმა.

სულ დახარჯულმა თანხამ შეადგინა 1 063 340,00 ლარი (97 %).

7. „სარიტუალო დახმარების“ ქვეპროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 10000 ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული გარდაცვლილი ვეტერანის დასაფლავების ხარჯის ანაზღაურება, ერთჯერადად 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

ქვეპროგრამა, ასევე, გულისხმობს ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული პირების სარიტუალო მომსახურებას, რომლებიც გარდაიცვალნენ „კოვიდ-19“-ის დიაგნოზით სამედიცინო დაწესებულებაში, ერთჯერადად 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

დახმარებით ისარგებლა 20–მა ბენეფიციარმა.

სულ დახარჯულმა თანხამ შეადგინა 6 000,00 ლარი (60 %).

8. „სოციალური ღონისძიებების“ ქვეპროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 751000 ლარს.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს გარკვეული კატეგორიის ღვაწლმოსილი, დამსახურებული და სოციალურად დაუცველი პირებისათვის, ტრადიციულ დღესასწაულებთან და ღირშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებით, სხვადასხვა შინაარსის ღონისძიებების მოწყობას.

დახმარებით ისარგებლა 4331–მა ბენეფიციარმა.

სულ დახარჯულმა თანხამ შეადგინა 716 520,00 ლარი (100 %).

9. „სოციალურად დაუცველი ოჯახების ყოფითი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის ბიუჯეტი იყო 144000 ლარი.

აღნიშნული ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი, 70 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების მიერ მოხმარებული ელექტრო ენერგიის ღირებულების თანადაფინანსებას სულადობის მიხედვით და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანისათვის საჭირო თანხების დაფინანსებას.

ბენეფიციართა იდენტიფიცირება ხორციელდება სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ყოველთვიურად წარმოდგენილი მონაცემთა ბაზის საფუძველზე.

დახმარებით ისარგებლა 2463–მა ოჯახმა, რომელიც შეადგენს 6890 ბენეფიციარს.

სულ დახარჯულმა თანხამ შეადგინა 141 646,00 ლარი (98 %).

10. „განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა თანადგომის“ ქვეპროგრამის ბიუჯეტით განსაზღვრული იყო 170000 ლარი.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ (მცხოვრებ) 18 (თვრამეტი) წლის ბენეფიციარის დახმარებას, რომელიც იმყოფებოდა სახელმწიფო მზრუნველობაში და სრულწლოვანების გამო შეუწყდა სახელმწიფოს მხრიდან მომსახურება. დახმარება ბენეფიციარზე შეადგენს, თვეში 200 ლარს. ბიოლოგიურ ოჯახში, თითოეულ რეინტეგრირებულ ბავშვზე თვეში გაიცემა 200 ლარი.

ჰემოდიალიზზე მყოფი პირის, მუდმივად სამკურნალო დაწესებულებაში ტრანსპორტირებისა და სხვა სასიცოცხლოდ აუცილებელი საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით დახმარება შეადგენს თვეში 100 ლარს.

დახმარებით ისარგებლა 144–მა ბენეფიციარმა, მათ შორის 124–მა ჰემოდიალიზზე მყოფმა პირმა და რეინტეგრირებულმა – 25–მა ბავშვმა.

სულ დახარჯულმა თანხამ შეადგინა 152 800,00 ლარი (90 %).

11. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარების“ ქვეპროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 152000 ლარს.

დახმარებით სარგებლობენ სახელმწიფო პროგრამებით – „ბავშვთა ადრეული განვითარების“ და „დღის ცენტრის“ მომსახურებით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვები. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება თვეში 60 ლარის ღირებულების ჰიგიენური საფენებისა და სველი სალფეთქების შეძენა.

დახმარებით ისარგებლა 260–მა ბენეფიციარმა.

სულ დახარჯულმა თანხამ შეადგინა 149 918,72 ლარი (99 %).

12. „კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე ბენეფიციართა დახმარების“ ქვეპროგრამის ბიუჯეტი იყო 18000 ლარი.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს, აბსოლიტური სიყრუის მქონე და ყრუ–მუნჯი ბავშვებისათვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გაკეთებული ოპერაციის შემდგომ, კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე ქალაქ ქუთაისში

რეგისტრირებული/მცხოვრები 0-18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი პირების ფუნქციური დამოუკიდებლობის ხარისხის გაუმჯობესებას და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობას.

ქვეპროგრამის ფარგლებში კოხლეარული იმპლანტის აპარატის შეუფერხებელი ფუნციონირებისათვის საჭირო ნაწილების შეძენის თვალსაზრისით, ბენეფიციარს გაეწია დახმარება. ანაზღაურდა კვების წყაროსათვის საჭირო ელემენტის ღირებულება თვეში 95 ლარის ოდენობით და პროცესორისა და მიკროფონის შემაერთებელი სადენის ღირებულება ექვს თვეში ერთხელ, 150 ლარის ოდენობით.

დახმარებით ისარგებლა 11–მა ბენეფიციარმა.

სულ დახარჯულმა თანხამ შეადგინა 12 653,50 ლარი (70 %).

13. „ავთვისებიანი სიმსივნის ფორმით დაავადებულ პირთა თანადგომის“ ქვეპროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 60 000 ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში 0-18 წლამდე ასაკის ლეიკოზით დაავადებულ პირებს გაეწიათ მატერიალური დახმარება, თითოეულს, თვეში 200 ლარის ოდენობით.

დახმარებით ისარგებლა 25–მა ბენეფიციარმა.

სულ დახარჯულმა თანხამ შეადგინა 59 400,00 ლარი (99%).

14. „შინმოვლის“ ქვეპროგრამის ბიუჯეტი იყო 81000 ლარი.

ქვეპროგრამით მოსარგებლე პირები არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული 100 001–მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახის წევრები (შემდგომში – მოსარგებლე), რომელთათვისაც „უძლურების შეფასების ბართელის კითხვარის“ მიხედვით მინიჭებული ქულა /შემდგომში – ბართელის ინდექსი/ არ აღემატება 95 ერთეულს, არიან მწოლიარენი ან/ და საჭიროებენ სამედიცინო მანიპულაციებს საცხოვრებელ ადგილზე.

დახმარებით ისარგებლა 145–მა ბენეფიციარმა.

სულ დახარჯულმა თანხამ შეადგინა 74 315,00 ლარი (92%).

15. „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის“ ქვეპროგრამის ბიუჯეტი იყო 150 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურება გაეწიათ ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ, მცხოვრებ 2-17 წლის ჩათვლით ასაკის ბავშვებს, რომელთა ძირითადი დიაგნოზია („ICD-10“) კლასიფიკაციის მიხედვით განსაზღვრული განვითარების ზოგადი აშლილობები („F84.0“ – „F84.9“).

ქვეპროგრამის ფარგლებში ანაზღაურდა სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების (სამი ორგანიზაცია) მიერ აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვებისათვის გაწეული მომსახურება.

დახმარებით ისარგებლა 352–მა ბენეფიციარმა.

16. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მიუსაფარ ბავშვთა საჭიროებებზე მომუშავე ორგანიზაციების ფუნქციონირების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის ბიუჯეტი განსაზღვრული იყო 64200 ლარით.

ქვეპროგრამის მიზანია ქალაქ ქუთაისში მოქმედი 0-18 და 18 წლის ზემოთ ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებსა და მიუსაფარ ბავშვთა საჭიროებებზე მომუშავე ორგანიზაციების ფუნქციონირების ხელშეწყობა. საანგარიშო პერიოდში, განხორციელდა მომსახურების მიმწოდებელი 8 ორგანიზაციისათვის, მათ შორის: 6-დან 18 წლამდე ასაკის მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე შშმ ბავშვთა დღის ცენტრის ფუნქციონირების

ქალაქ ქუთაისის მერია
სპორტი

ხელშეწყობის მიზნით, ბენეფიციართა ტრანსპორტირების, განმავითარებელი და სხვა საშუალებების ხარჯების ანაზღაურება – სულ: 17664.47 ლარი, თანადაფინანსების პრინციპით კომუნალური ხარჯების (ელექტრო ენერგია, ბუნებრივი აირი და წყალი) ანაზღაურება.

დახმარებით ისარგებლა 8 ორგანიზაციამ.

სულ დახარჯულმა თანხამ შეადგინა 40 269,71 ლარი (63%).

17. „მარტოხელა მშობელთა დახმარების" ქვეპროგრამის ბიუჯეტი იყო 44000 ლარი.

ქვეპროგრამის მიზანია, ქალაქ ქუთაისში მცხოვრები (რეგისტრირებული) მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირთა ოჯახების მიერ მოხმარებული კომუნალური მომსახურების (ელქტრო ენერგიის, წყალის, ბუნებრივი აირის) ღირებულების თანადაფინასება 30 ლარის ოდენობით. „სოციალური ღონისძიებების" ფარგლებში ბენეფიციარებს სააღდგომოდ გადაეცათ100 ლარის ღირებულების სასაჩუქრე ბარათები.

დახმარებით ისარგებლა 150–მა ბენეფიციარმა.

სულ დახარჯულმა თანხამ შეადგინა 41 286,00 ლარი (94 %).

18. „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარების" ქვეპროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 4000 ლარს.

ქვეპროგრამის მიზანს წარმოადგენს სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის სტრუქტურული ერთეულების, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებაში (თავშესაფარში) მყოფი პირის/ოჯახის თავშესაფრის დატოვების შემდეგ ფინანსური დახმარება.

დახმარებით ისარგებლა 2–მა ბენეფიციარმა.

სულ დახარჯულმა თანხამ შეადგინა 3000 ლარი (75 %).

19. „საქართველოს „SOS" ბავშვთა სოფლის" მიერ განხორციელებული პროექტის – დღის ცენტრის ბენეფიციარების დახმარების" ქვეპროგრამის ბიუჯეტი განზაღვრული იყო 30000 ლარით.

ქვეპროგრამის ფარგლებში ბავშვების სოციალური დახმარებისა და მათი ოჯახების გაძლიერების მიზნით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ასოციაცია საქართველოს „SOS ბავშვთა სოფელს" შორის გაფორმებული ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის საფუძველზე, ხდება საქართველოს „SOS ბავშვთა სოფლის" მიერ განხორციელებული პროექტის: „დღის ცენტრის ბენეფიციარების დახმარება" დაფინანსება, რომლის ფარგლებში ფინანსდება ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული 12–დან 36 თვემდე ბავშვების დღის ცენტრში მომსახურება: კვება და ჰიგიენური საშუალებები.

დახმარებით ისარგებლა 26–მა ბენეფიციარმა.

სულ დახარჯულმა თანხამ შეადგინა 24 157,27 ლარი (81 %).

20. „ადრეული ძუძუს აგრესიული „HER-2" რეცეპტორ დადებითი დიაგნოზის მქონე პირების დახმარების" ქვეპროგრამის ბიუჯეტი იყო 95000 ლარი.

ქვეპროგრამით სარგებლობენ ადრეული ძუძუს აგრესიული „HER-2" რეცეპტორ დადებითი და მეტასტაზური კიბოს დიაგნოზის მქონე პირები.

დახმარებით ისარგებლა 30–მა ბენეფიციარმა.

სულ დახარჯულმა თანხამ შეადგინა 93 300,00 ლარი (98%).

21. „გადაუდებელი რეაგირების“ ქვეპროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 196000 ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურების სერვისი მიეწოდებათ ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ და ფაქტობრივად მცხოვრებ კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ ოჯახებს, რომელთა წევრები საჭიროებენ გადაუდებელ პირველად დახმარებას.

დახმარებით ისარგებლა 286–მა ბენეფიციარმა. მათ შორის: სოციალურ საკითხთა სამსახურის მიერ გაეწია მატერიალური დახმარება 177 ბენეფიციარს, ხოლო 109 ბენეფიციარს გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებით გაეწიათ სხვადასხვა სახის დახმარება.

სულ დახარჯულმა თანხამ შეადგინა 177 250,51 ლარი (90%).

22. „მხედველობით მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ტიფლოტექნიკური აპარატების შეძენის“ ქვეპროგრამის ბიუჯეტი იყო 10000 ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება მხედველობით მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ტიფლოტექნიკური აპარატების – ხმოვანი წნევის აპარატები (53 ცალი); შაქრის საზომი აპარატები (23 ცალი) – შეძენა.

დახმარებით ისარგებლა 73–მა ბენეფიციარმა.

სულ დახარჯულმა თანხამ შეადგინა 9950 ლარი (100 %).

23. „გენდერული ნიშნით და ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალებისათვის ფსიქიატრიული სერვისებით უზრუნველყოფის“ ქვეპროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 5000 ლარს.

ქვეპროგრამით სარგებლობენ ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული ოჯახში და გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლი ქალები და გოგონები, რომლებიც საჭიროებენ ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებში ჩართვას. ქვეპროგრამის მომსახურების მიმწოდებელს წარმოადგენს ა(ა)იპ „წამების მსხვვერპლთა ფსიქო – სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის საქართველოს ცენტრი“ („GCRT“), რომელიც პროექტის „ქუთაისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ძალადობის მსხვერპლი ქალების ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებით უზრუნველყოფა“ ფარგლებში განახორციელებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები გენდერული ნიშნით და ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალებისა და გოგონებისთვის ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისის მიწოდებას. კერძოდ: ფსიქოლოგის, სოციალური მუშაკის მომსახურებას, ასევე, ფსიქიატრის კონსულტაციას და საჭიროების შემთხვევაში ფსიქიატრის მიერ დანიშნული მედიკამენტებით უზრუნველყოფას, რაც განხორციელდება ქუთაისის მერიის წილობრივი ფინანსური მხარდაჭერით, რომელიც განისაზღვრება 10000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება არაუმეტეს 20 ბენეფიციარი. ბენეფიციარების ქვეპროგრამაში ჩართვა: სერვისში რეფერირებას მოახდენს განმახორციელებელი – ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახური, ხოლო ამის შემდგომ „GCRT-ის“ ქუთაისის სარეაბილიტაციო გუნდი იმოქმედებს შესაბამისად.

დახმარებით ისარგებლა 9 ბენეფიციარმა.

სულ დახარჯულმა თანხამ შეადგინა 5000 ლარი (100%).

24. „სოციალურად დაუცველი ოჯახების მხარდაჭერის“ ქვეპროგრამის ბიუჯეტი იყო 4000,00 ლარი.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ქუთაისში არანაკლებ ბოლო ერთი წლის მანძილზე რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები სოციალურად დაუცველი პირების მიერ ახალშექმნილი ოჯახებისა და ახალშეძენილი შვილიანი ოჯახების ფინანსურ მხარდაჭერას.

დახმარებით ისარგებლა 6–მა ბენეფიციარმა.

სულ დახარჯულმა თანხამ შეადგინა 3000 ლარი (75 %).

25. „სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის განათლების ხარისხის ამაღლების“ ქვეპროგრამის ბიუჯეტი განსაზღვრული იყო 60000 ლარით.

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სოციალურად დაუცველი აბიტურიენტების დამატებითი სწავლება, 2022 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის.

ქვეპროგრამით მოსარგებლე პირები არიან ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული, სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე სკოლადამამთავრებელი მოსწავლეები, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120000-ს.

აბიტუტიენტებისთვის მომსახურების მიწოდებას უზრუნველყოფენ ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და ავტორიზირებული სასწავლო დაწესებულებები.

დახმარებით ისარგებლა 53–მა ბენეფიციარმა.

სულ დახარჯულმა თანხამ შეადგინა 33300 ლარი (56 %).

26. „შშმ პირთა საერთაშორისო დღის“ ქვეპროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 6000 ლარს.

დაიხარჯა 3000 ლარი (50%).

27. „ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერება“

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 116 000,00 ლარი.

ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური მხარდაჭერის ქვეპროგრამის მიზანია, „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ მოთხოვნათა და ბავშვთა უფლებების მიმართულებით არსებული გამოწვევების საპასუხოდ, პროგრამის მონაწილე ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური უსაფრთხოების ხელშეწყობა, რათა ამ გზით შემცირდეს ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის უარყოფითი გავლენა ბავშვის განვითარების სხვადასხვა ასპექტებზე.

ქვეპროგრამით მოსარგებლეები არიან ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები ბავშვიანი ოჯახები, თუ ქვემოთ ჩამოთვლილი სამიზნე ჯგუფიდან, სულ მცირე, ორს მაინც აკმაყოფილებს:

სოციალურად დაუცველი ბავშვიანი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დაფიქსირებული 120 001–მდე სარეიტინგო ქულის მქონე პირები;

გაღარიბების მაღალი რისკის წინაშე კრიზისულ მდგომაროებაში მყოფი ბავშვიანი ოჯახები (სოციალური მუშაკის დასკვნის საფუძველზე);

ერთ–ერთი მშობელი, რომელიც დამოუკიდებლად ასრულებს მშობლის ფუნქციებს;

ოჯახები, რომლებსაც ჰყავთ სუსტი თანადგომის ქსელი (სოციალური მუშაკის დასკვნის საფუძველზე);

ბავშვიანი ოჯახები, სადაც ერთი მშობელი კანონთან კონფლიქტშია;

ქვეპროგრამაში მონაწილეობას ვერ მიიღებს მრავალშვიანი ოჯახების მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშემწყობი პროექტებით მოსარგებლე.

ქვეპროგრამის განხორციელება მიმართულია ბავშვიანი ოჯახებისათვის გრძელვადიან მხარდაჭერაზე, რომელიც მოიცავს სამ კომპონენტს. კერძოდ, ქვეპროგრამის მონაწილე ოჯახებთან ბიო-ფსიქო-სოციალური მიდგომებით მოხდება სოციალური მუშაკების ჩართულობა, ოჯახის ეკონომიკური და პოზიტიური მშობლობის კუთხით გაძლიერება.

დახმარებით ისარგებლა 8 ოჯახმა.

სულ დახარჯულმა თანხამ შეადგინა 115 741,65 ლარი (%).

ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება

2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებაში მიღებულ იქნა 126 განცხადება და შეფასებულ იქნა 226 ბავშვი და მათი ოჯახები. მათ მიმართ გატარდა შემდეგი სახის ღონისძიებები, კერძოდ:

„გადაუდებელი რეაგირების პროგრამის“ ფარგლებში განაცხადი გააკეთა 64–მა მოქალაქემ, ვერ შეფასდა 5 ბავშვი, რადგან ოჯახებმა უარი განაცხადეს სოციალურ მუშაკთან თანამშრომლობაზე; სულ განხორციელდა 105 ბავშვის შეფასება.

„ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერების პროგრამის" ფარგლებში განაცხადი გააკეთა 6–მა მოქალაქემ, შეფასდა 19 ბავშვი.

სსიპ „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოდან“ შემოვიდა 16 შეტყობინება, ვერ შეფასდა 3 ბავშვი, ვინაიდან, ორშვილიანი დედა იმყოფებოდა დედათა და ბავშვთა თავშესაფარში, ხოლო ერთი მოქალაქე კახეთის რეგიონში. სულ გაკეთდა 31 ბავშვის შეფასება.

სხვა მუნიციპალიტეტიდან (ტყიბული) შემოსული წერილის საფუძველზე ვერ შეფასდა ბავშვიანი ოჯახი, ვინაიდან ტერიტორიულად ქუთაისის მუნიციპალიტეტში არ იმყოფებოდა.

თვითმმართვა განახორციელა 36–მა მოქალაქემ და შეფასდა 65 ბავშვი;

არასამთავრობო ორგანიზაციიდან შემოსული წერილის საფუძველზე შეფასდა 2 ბავშვი, ხოლო სახალხო დამცველის აპარატიდან შემოსული შეტყობინების საფუძველზე – 1 ბავშვი;

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერთან შეხვედრის შედეგად შეფასდა 3 ბავშვი.

მეორე დონეზე–სოციალური მუშაკები ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმის მიხედვით ახორციელებენ მონიტორინგს 52 ბავშვთან.

კულტურის, განთლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური

კულტურის პროგრამების ბიუჯეტი – 1624800 ლარი

იუნესკოს შემოქმედებითი ქალაქების ქსელის წევრი, ლიტერატურის მიმართულებით ჩატარდა საერთაშორისო ფოტოფესტივალი „ილო“, ქუთაისის მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო კინო-ფესტივალი

იმერეთის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი; ჯორჯ ბალანჩინის IV საერთაშორისო ქორეოგრაფიული ფესტივალი; ქარავან არტ ფორუმი ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის სოლო კონცერტი მოეწყო ვარსკვლავის გახსნა; რეზო გაბრიაძის წიგნი „ჩემი პატარა ქალაქი“. განხორციელდა ნიკოლოზ წულუკიძის საავტორო პროექტი „ქართული თეატრის ამბავი ანუ...“ „ქუთაისი მურალ ფესტის“ პროგრამის ფარგლებში მოიხატა 6 კედელი.

განათლების პროგრამების ბიუჯეტი – 203 000 ლარი

საერთაშორისო კონფერენციებზე, კონკურსებზე, კონგრესებზე, ოლიმპიადებსა და ფესტივალებზე ქუთაისელი პროფესორ მასწავლებლების, სტუდენტთა და მოსწავლეთა დაფინანსება - 15000 ლარი.

მერის სტიპენდია - 21600 ლარი.

საზაფხულო ბანაკი საჯარო სკოლების VIII–IX–X კლასების წარმატებულ მოსწავლეთათვის – 58 000 ლარი.

ტრენინგ – კურსი „აირჩიე პროფესია“ – 7 000 ლარი.

პროექტი „სასკოლო კლუბების ინიციატივების მხარდაჭერა“ – 20 000 ლარი.

მოსწავლეთა შემოქმედებითი ოლიმპიადა – 10 000 ლარი.

სასკოლო თეატრალურ ფესტივალი – 11 000 ლარი.

საერთაშორისო სასერთიფიკატო გამოცდებზე ქუთაისელი მოსწავლეებისა და სტუდენტების მონაწილეობის დაფინანსება – 5000 ლარი.

წარმატებული და ღვაწლმოსილი პედაგოგების დაჯილდოება – 20 000 ლარი.

სპორტის პროგრამების ბიუჯეტი – 1,4 მლნ. ლარი

ქუთაისის მუნიციპალიტეტმა, საქართველოს პარლამენტთან ერთად, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარაჭერით შეიმუშავა სპორტის განვითარების კონცეფცია.

ჩატარდა 12 საერთაშორისო და ეროვნული ტურნირი სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

საქართველოს, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე გამარჯვებულ 65 სპორტსმენს, მიღწეული წარმატებებისათვის გადაეცათ შესაბამისი ფულადი ჯილდო.

ახალგაზრდული პროგრამების ბიუჯეტი – 300 000 ლარი

კონკურსი „ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა" – 10 პროექტი, 130 000 ლარი.

როკ მუსიკის ფესტივალი „Rockაია", პოპულარული ქართული მუსიკალური ჯგუფების მონაწილეობით, ღონისძიებას დაესწრო 10 000-მდე ადამიანი – 30 000 ლარი.

„ახალგაზრდული ფესტივალი"

ზამთრის და ზაფხულის ლიდერთა სკოლები, 14–29 წლამდე ახალგაზრდებისათვის – 200-მდე მონაწილე, 65000 ლარი.

შეიქმნა მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო, 27 წევრი.

ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება"

ა(ა)იპ-ის გაერთიანების შემადგენლობაში შედის 17 ფილიალი, რომელშიც წარმოდგენილია 37 სპორტის სახეობა. გაერთიანებაში სულ ირიცხება 4200–ზე მეტი სპორტსმენი. სწავლება არის უფასო.

ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების" 2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი იყო 6 248 000 ლარი.

2023 წლის ივლისის თვეში ა(ა)იპს გადაეცა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ, ქალაქების საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში, აზიის განვითარების ბანკის მიერ დაფინანსებული და აშენებული საცურაო აუზი მოვლა-პატრონობისა და სატესტო რეჟიმში ფუნქციონირებისათვის. აუზის მომსახურებით ისარგებლა 2852–მა ბავშვმა. შემოსავალმა 2023 წლის ივლისი–დეკემბრის მონაცემებით შეადგინა 639 989 ლარი.

2023 წელს ფუნქციოინირება დაიწყო ჯომარდობის ბაზამ და ბალახის ჰოკეის მოედანმა. რეაბილიტირებული იქნა მაია ჩიბურდანიძის სახელობის №16 ჭადრაკის სპორტული სკოლა და დავით ხახალეიშვილის სახელობის ჭიდაობის №17 კომპლექსური სპორტული სკოლის ძიუდოს დარბაზი.

ჩატარდა კალენდარული გეგმით გათვალისწინებული 82 სხვადასხვა რანგის შეჯიბრი და სახელობითი ტურნი. სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების სპორტსმენებმა სხვადასხვა ტურნირებზე სულ მოიპოვეს 878 მედალი: ოქრო – 337; ვერცხლი – 264; ბრინჯაო – 277.

ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანება"

ა(ა)იპ ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანებაში შედის 18 ფილიალი. სასწავლო – საგანმანათლებლო მიმართულებით ფუნქციონირებს 9 ფილიალი, კულტურის მიმართულებით 7 ფილიალი, აგრეთვე ბოტანიკური ბაღი და მოსწავლე – ახალგაზრდობის პარკის

სახელოვნებო – საგანმანათლებლო ფილიალებში დასაქმებულია 710 ადამიანი, განათლებას იღებს 3441 მოზარდი, რომელთა სწავლება დაფინანსებულია ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ. ერთი ბავშვის არაფორმალურ განათლებაზე ბიუჯეტიდან წლიურად დაიხარჯა 1744 ლარი .

2023 წლის გაერთიანების ბიუჯეტი შეადგენდა 6 593 000 ლარს.

გაერთიანების მხარდაჭერით წლის განმავლობაში ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიებები.

განხორციელდა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული სამუშაოები; 1. გარემონტდა დაზიანებული შენობები, 2. ჩატარდა გადახურვითი სამუშაოები – (26 360 ლარი); 3. მოწესრიგდა გათბობისა და წყლის დაზიანებული სისტემები; 4. სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა და ექსპლოატაციაში შევიდა ცენტრალური სამუსიკო სასწავლებელი.

ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის მადლიერების სახლი“

2023 წლის ბიუჯეტი შეადგენს 1 066 000 ლარს. 12 თვეში დახარჯულია 951 685 ლარი, აქედან კვების პროდუქტების შესაძენად – 584 754 ლარი.

ა(ა)იპ „ქალაქ უთაისის მადლიერების სახლში“ ფუნქციონირებს უფასო კვების სასადილო, სადაც იკვებება 750 ბენეფიციარი. აქედან 510 ბენეფიციარი სადილობს დუმბაძის ქუჩაზე არსებულ სასადილოში, ხოლო, 240 ბენეფიციარი – ავტომშენებლის ქუჩაზე მდებარე სასადილოში.

მადლიერების სახლში მოქმედებს ბინაზე მიტანის სერვისი, რომელიც ემსახურება გადაადგილება შეზღუდულ ბენეფიციარებს.

2023 წლის მე-2 კვარტალში შეძენილ იქნა ახალი, ფურგონიანი ავტომანქანა რენო ექსპრეს ვენი, სადილის მიტანის სერვისის გასაუმჯობესებლად.

მიმდინარეობს „HACCP-ის“ სისტემისა და ბენეფიციართა გამოცხადების ელექტრონული აღრიცხვის სისტემის დანერგვაზე.

ა(ა)იპ „სპეციალური სერვისები“

2023 წლისათვის ა(ა)იპ „სპეციალური სერვისებში“ დაიგეგმა საბიუჯეტო პროგრამის სახსრების გამოყენება ჯამში 7 190 000 ლარის ოდენობით (03.01 – ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა) და საკუთარი სახსრების გამოყენება 1 000 000,0 ლარის ოდენობით (03.01 – ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა).

ა(ა)იპ „სპეციალურმა სერვისებმა“ დამატებით მიიღო 1 065 806.32 ლარის შემოსავალი (დამატ.მომსახურება ურნების გამოყენებით – 1 001 319.54 ლ; სხვა დამატებითი მომსახურებიდან – 6 620.0 ლ; ცხოველთა თავშესაფარში გაწეული მომსახურებით – 17 138.0ლ; დეზინფექცია დერატიზაციის მომსახურებიდან – 14 773.68 ლ; მაკულატურის რეალიზაციით – 24 735.10 ლ. და სხვა შემოსავლები – 1220.0 ლ.).

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გატანილ იქნა საყოფაცხოვრებო ნარჩენი დაახლოებით 53 482.40 ტონა. დაიგვა და დასუფთავდა – 864 093 700.0 მ². ქალაქის ქუჩები და ადმინისტრაციული შენობა. მოირწყა და ჩაირეცხა 1 800 000 მ² ქალაქის ქუჩა, ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით, ქალაქში რამდენჯერმე თოვლისაგან გაიწმინდა ქუთაისში არსებული ხიდები, ქუჩები, საფეხმავლო ტროტუარები, რისთვისაც გაიხარჯა 17,5 ტონა ტექნიკური მარილი და 74,24 მ³ ქვიშა.

დაიწნეხა ქალაქის ტერიტორიიდან მოპოვებული 291 შეკვრა მუყაო და 11 შეკვრა პლასმასი, 2022 წლიდან ნაშთის სახით გადმოგვყვა 34 შეკვრა მუყაო და 18 შეკვრა პლასტმასი. აქედან 300 შეკვრა მუყაო გაიყიდა და ორგანიზაციამ დამატებით შემოსავლების სახით მიიღო 24 735.1 ლარი.

ასსაფეხურიანი კიბის ტერიტორიაზე მოეწყო საინტერესო და მასშტაბური ფოტო ზონა „აიარეთ სიყვარულის ასი საფეხური“, სადაც შეყვარებულ წყვილებს, ქალაქის სტუმრებს, ნებისმიერ ადამიანს შესაძლებლობა ჰქონდათ გადაეღოთ სამახსოვრო ფოტოები. სიყვარულის დღის განწყობის შექმნაზე ასევე იზრუნეს პანტომიმის თეატრის მსახიობებმა.

საქართველოში ერთ–ერთი ყველაზე პოპულარული გასტრონომიული ფესტივალი 2023 წლის 17–18 ივნისს ჩატარდა ქუთაისში. „DMO“ იმერეთი აღნიშნულ ფესტივალზე წარმოდგენილი იყო როგორც პარტნიორი უწყება და ფინანსური კონტრიბუტორი.

ცენტრალურ მოედანზე, ღია ცის ქვეშ გაიმართა ქუთაისის მერიის ფოლკლორის ცენტრის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტი.

ა(ა)იპ „ქუთაისის ბაგა – ბაღების გაერთიანება“

ქუთაისის ბაგა–ბაღების გაერთიანების 2023 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 19 603 793 ლარს. სულ 2023 წლის განმავლობაში ფუნქციონირებდა 38 ბაღი, რომელიც საშუალოდ მოემსახურა 7000 აღსაზრდელს.

ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიზნით მუნიციპალური განვითარების ფონდმა 4 ბაღის რეაბილიტაციისთვის სულ გამოყო 16 000 000 ლარი, ხოლო აღნიშნული სამუშაოები განხორციელდება მიმდინარე წელს.

ა(ა)იპ „ქუთგანათების სერვისი“

ა(ა)იპ „ქუთგანათების სერვისში“ დასაქმებულია 51 ადამიანი, მისმა დაფინანსებამ 2023 წელზე შეადგინა 3950000 ლარი, აღნიშნული თანხიდან 240000 ლარი გარე განათების სისტემების მიერ წლის განმავლობაში მოხმარებული ელ. ენერგიის ხარჯზე დაიხარჯა. 720 ათასი ლარი შეადგინა თანამშრომლების შრომითმა ანაზღაურებამ. დანარჩენი თანხა დაიხარჯა საქონელი და მომსახურების მუხლით.

აღნიშნული ხარჯების საფუძველზე, ქალაქის ტერიტორიაზე განხორციელდა დაზიანებული და ძველი ნატრიუმის შემცველი სანათების ჩანაცვლება ახალი დიოდური „LED“ ტიპის სანათებით (ქუჩების პარამეტრებიდან გამომდინარე 150 ვტ და 250 ვტ სანათები ჩანაცვლდა შესაბამისად 90 ვტ და 120 ვტ სანათებით), რომელმაც შესაბამისად მოხმარებული ელ. ენერგიის ხარჯი შეამცირა ქუჩების განათებულობისა და სიკაშკაშის პარამეტრების შეუცვლელად. აღნიშნული სანათებით განათებულია ქალაქის ქუჩების 97%, დარჩენილის ჩანაცვლება მიმდინარეობს ეტაპობრივად, რომელიც 2024 წლისათვის სრულად იქნება განხორციელებული.

გამარჯვების მოედანზე და ხარისხის სახლის წინ რეაბილიტირებულ უსაფრთხოების კუნძულებზე მოეწყო 10 ვატიანი და 20 ვატიანი ფასადის მინათების მწვანე სანათები დეკორატიული ნარგავების გასანათებლად.

ქალაქის ტერიტორიაზე გაივლო ორკონტურიანი თეთრი ხაზი 3315 გრძ.მ. დაიხაზა ზებრა გადასასვლელები, ავტობუსის გაჩერებები „BUS“ წარწერით, ავტომობილების პარკირების ადგილები.

ა(ა)იპ „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექცია“

ა(ა)იპ „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ მიერ, 2023 წლის 1-ელი იანვრიდან 2024 წლის 1-ელ იანვრამდე, ჯამში განხილული და პასუხგაცემული იქნა 1455 კორესპონდენცია (მათ შორის მოქალაქეთა განცხადებები, სხვადასხვა სამსახურიდან და უწყებებიდან შემოსული წერილები).

სამსახურის მიერ გამოცემულ იქნა 141 დადგენილება;

გამოცემულ იქნა 534 ბრძანება;

მომზადებულ იქნა 1783 გასული წერილი;

2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით, არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლისა და მომსახურებით (მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების იჯარა) მიღებული შემოსავლის გეგმა სამსახურს განესაზღვრა 700 000 ლარით.

ა) მუნიციპალური ქონების იჯარიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 586,984.20 ლარი.

ბ) გარე რეკლამის განთავსების იჯარიდან და გარე ვაჭრობის უფლების საფასურიდან ბიუჯეტში შემოსულმა თანხამ შეადგინა 153 905 ლარი.

სულ 2023 წელს ბიუჯეტში შემოვიდა 740 889.20 ლარი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის იჯარის გეგმა შეადგენს 150 000 ლარს. ბიუჯეტში შემოსული თანხა შეადგენს 123169 ლარს.

ქუჩის სამუშაოს საწარმოებლად გაცემულია 90 ნებართვა.

ა(ა)იპ „ქუთაისის ფოლკლორის ცენტრი–სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი“

ააიპ „ქუთაისის ფოლკლორის ცენტრი – სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლს“ 2023 წლის საბიუჯეტო ასიგნებებად განესაზღვრა 1 359 500.00 ლარი.

2023 წელს ჩატარებული ღონისძიებები:

ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლს მიენიჭა აკადემიურობის სტატუსი.

3 მაისი – ლ.მესხიშვილის სახელმწიფო პროფესიული თეატრი. ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის სოლო კონცერტი.

13 მაისი – ბათუმი. კულტურის ცენტრი-საზაფხულო თეატრი. ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის სოლო კონცერტი.

21 მაისი – თბილისი. გრიბოედოვის სახელმწიფო თეატრი. ბავშვთა ქორეოგრაფიული ფესტივალი. ფოლკლორის ცენტრის ანსამბლი – „იმედი“.

6 ივლისი – ლ.მესხიშვილის სახ. პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი. ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის სოლო კონცერტი და ანსამბლის ვარსკვლავის საზეიმო გახსნა.

14 ივლისი, 21 ივლისი, 28 ივლისი, 4 აგვისტო, 15 სექტემბერი, 29 სექტემბერი – ფოლკლორის ცენტრი. სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის კონცერტი – „ქართული შოუ“ (ტურიზმის ცენტრთან ურთიერთთანამშრომლობით).

19 აგვისტო – საფრანგეთი. ლევილის მამული. „ლევილის ქართული ფესტივალი“. სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის ქორეოგრაფიული ჯგუფის კონცერტი.

31 დეკემბერი – ქუთაისის ცენტრალური მოედანი. საახალწლო მილოცვა. სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის ვაჟთა გუნდი.

ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისში საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი“

2023 წლის განმავლობაში ქუთაისის სამედიცინო დაწესებულებების მიერ დაფიქსირდა 12683 გრიპისა და მწვავე რესპირატორული ინფექციების ამბულატორიული შემთხვევა (ILI) და 1240 გრიპისა და გრიპისმაგვარი დაავადებების ჰოსპიტალიზაციის შემთხვევა (SARI)

2023 წლის განმავლობაში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაფიქსირდა კოვიდინფექციის 1 860 შემთხვევა.

სეზონური გრიპის შემთხვევათა მკურნალობისა და გრიპის გავრცელების მართვისათვის საჭირო ანტივირუსული პრეპარატი „ტამიფლუ“ ათი თვის განმავლობაში გაიცა 463 კაფსულის ოდენობით. „COVID–19-ის“ სამკურნალო მედიკამენტი „პაქსლოვიდი“ კი – კოვიდპაციენტებზე 1260 ბის რაოდენობით.

იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამაში ქალაქ ქუთაისის მასშტაბით მონაწილეობს 25 სამედიცინო დაწესებულება. აქედან 0-18 წლის ასაკში გეგმიურ ვაქცინაციას ატარებს 12 დაწესებულება.

ახალი კორონავირუსით („SARS–COV-2“) გამოწვეული ინფექციის („COVID-19“) დიაგნოსტიკის უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ქალაქ ქუთაისის მასშტაბით ჩართულია 28 სამედიცინო დაწესებულება, რომლებიც ახორციელებენ რეანიმაციულ და სიმპტომურ ამბულატორიულ პაციენტთა ტესტირებას, რომელთაც სახარჯი მასალით უზრუნველყოფას ახდენს ჩვენი ცენტრი. 2023 წელს ჩვენი ცენტრის მიერ გაიცა 132312 ცალი სწრაფი მარტივი ანტიგენ ტესტი. ყოველი თვის ბოლოს ხდება ანგარიშის წარდგენა დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში ქალაქის მასშტაბით სახარჯი მასალის ხარჯვა–აღრიცხვასთან დაკავშირებით.

2023 წლის განმავლობაში დაფიქსირდა ტუბერკულოზის ფილტვის ფორმის 36 შემთხვევა–მგბ (+) 15 და მგბ (-) 21. 25 ფილტვგარეშე ტუბერკულოზის შემთხვევა. მეთვალყურეობა დამყარდა და გამოკვლევებში ჩაერთო 100 კონტაქტირებული პირი. დაფიქსირდა 120 უარყოფითი შემთხვევა.

2023 წლის განმავლობაში ანტირაბიული კაბინეტების მიერ მომსახურება გაეწია 5532 პაციენტს: 15 წლამდე-2032. პატრონიანი ცხოველის მიერ დაზარალებული – 3309, უპატრონო ცხოველის მიერ – 2223, მათ შორის ქუთაისის – 3267, 15 წლამდე – 167 აქედან პატრონიანი – 1830 და უპატრონო – 1437.

აგვისტოს თვეში იმერეთსა და აჭარის რეგიონებში დაიწყო პილოტური პროგრამა 4–დან 7 წლამდე ასაკის ბავშვებში კაპილარულ სისხლში ტყვიის რაოდენობის განსაზღვრა (ნორვეგიული მეთოდით). შემთხვევის შერჩევის პრინციპით გადმოგვეგზავნა ბაზები 502 ბავშვის გამოსაკვლევად.

ქალაქ ქუთაისის 16 სამედიცინო დაწესებულებაზე (რომლებიც ჩართული არინ ამ პროგრამაში) გაიცა 2023 წლის განმავლობაში 12 511 ცალი „C“ ჰეპატიტის ტესტი სახარჯ მასალასთან ერთად. გამოკვლეულ იქნა ამდენივე ამბულატორიული პაციენტი.

2023 წლის განმავლობაში აივ/ ინეფქცია შიდსის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სწრაფი მარტივი ტესტით, სკრინინგით, გამოკვლეულ იქნა 11 270 ჰოსპიტალიზირებული პაციენტი. დადებითი შემთხვევა დაფიქსირდა 17 პიროვნებაში.

შპს „რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონი“

2023 წელი მნიშვნელოვანი პერიოდია „რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონის“ ისტორიაში. როგორც ცნობილია, უეფას 21 წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირების ჩასატარებლად, ერთ–ერთ მასპინძელ ქალაქად ქუთაისი დასახელდა. შესაბამისად, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ დაიგეგმა სტადიონის სრული სარეკონსტრუქციო – სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის ღირებულებამ 30 მილიონ ლარს გადააჭარბა. მიღებულია უეფას მიერ აღიარებული მე-4 კატეგორიის სტადიონი 10000 მაყურებელზე.

გასული წლის 20–23 ივნისს განახლებულმა შენგელია არენამ უმასპინძლა ისრაელის, ჩეხეთის, ინგლისის და გერმანიის 21 წლამდელთა მეოთხედფინალურ მატჩებს. ასევე, მაისსა და ივნისში ჩატარდა 3 სატესტო მატჩი, მათ შორის ერთი – ქალთა გუნდების მონაწილეობით.

ახალი ინფრასტრუქტურის პირობებში გაიზარდა ფინანსური ვალდებულებები არენის, უეფას კრიტერიუმების შესაბამისობაში მოსაყვანად. საჭირო გახდა 2023 წლის, ქუთაისის მერიის მიერ, სუბსიდიის სახით გამოყოფილი (597,0

ათასი ლარი) თანხის გადახედვა და მერიამ სტადიონს, საანგარიშო პერიოდში დამატებით გამოუყო 83,0 ათასი ლარი, რამაც ჯამურად 680,0 ათასი ლარი შეადგინა. შესაბამისად ცვლილებები შევიდა საშტატო ნუსხაში.

2024 წელს, მარტში შენგელია არენაზე დაგეგმილია ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი 17 წლამდელთა შორის (მონაწილე გუნდები: საქართველო, სერბეთი, თურქეთი, დანია).

შპს „პარკინგსერვისი"

ვინაიდან, შპს „პარკინგსერვისი" დამოკიდებულია მხოლოდ საკუთარ შემოსავლებზე, კერძოდ, ორგანიზაციის ბიუჯეტი შედგება მხოლოდ გადახდილი პარკირების საფასურიდან შემოსული თანხებით, რომლის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია. დღის წესრიგში დადგა პარკირების საფასურის გაზრდის საკითხი. კერძოდ, 2023 წლის იანვრიდან, 365 დღის საფასური გაიზარდა და გახდა 60 ლარი, ხოლო 182 დღის – 30 ლარი.

1-ლი იანვარი – 31 დეკემბერი

6 თვიანი პარკირების საფასური – 9 185 ავტომობილი – 275 545 თანხა (ლარი).

1 წლიანი პარკირების საფასური – 6 637 ავტომობილი – 398 220 თანხა (ლარი).

2015 წლის 6 ოქტომბერს გაფორმებული, №28 საიჯარო ხელშეკრულებით განსაზღვრული, გადაუხდელი საიჯარო ქირისა და დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის გრაფიკით გათვალისწინებული შესატანის შესაბამისად დაიფარა და შეადგინა – 185 000 ლარი.

საათობრივი პარკირება

საათობრივი პარკირება მიზნად ისახავს ქალაქ ქუთაისის ცენტრალური ქუჩების საათობრივ პარკირებაზე გადასვლას. ცენტრალურ ქუჩებში იგულისხმება: დავით აღმაშენებლის მოედანი, ნიუპორტის, გელათის, კოლუმბია მისურის, ბროსეს, ვარლამიშვილის, ლერმონტოვის, წმ.ნინოს, ფალიაშვილის, ცისფერყანწელების, პუშკინისა და ფანჯიკიძის ქუჩები.

იმისათვის, რომ საათობრივი პარკირება განხორციელდეს ჯეროვნად და სრულფასოვნად, საჭიროა ზემოაღნიშნული ქუჩები აღიჭურვოს შესაბამისი ვიდეოკამერებით. ამდროისთვის მიმდინარეობს მოცემული სიტუაციისთვის ფუნქციურად და ტექნიკურად შესაბამისი ვიდეოკამერების მოძიება. პარარელურ რეჟიმში განიხილება მოცემულ ქუჩებზე სპეციალური სწრაფი ჩარიცხვის აპარატების განთავსება, რომლითაც მოქალქეებს შესაძლებლობა ექნებათ შეიძინონ საათობრივი პარკირებისთვის განსაზღვრული საფასური, რის შემდგომაც თავისუფლად შეძლებენ დააპარკინგონ მათთვის სასურველ ადგილზე.

შპს „პარკინგსერვისის" შემოსავლებმა (გადახდილი პარკირების საფასური) შეადგინა 893859 ლარი, დღგ – 136352 ლარი, შემოსავლები (გადახდილი პარკირების საფასური დღგ-ს გარეშე) – 757507 ლარი. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული თანხა არ ფიქსირდება, ასევე, არც სხვა შემოსავლები. ჯარიმის სახით მიღებული თანხები, რომლებიც პირდაპირ აისახება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტში – 443 995 ლარი. საჯარიმო ოქმებზე დაკისრებული საურავიდან და სააღსრულებლო წარმოებიდან მიღებული თანხები, რომლებიც ასევე პირდაპირ აისახება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტში – 210 880 ლარი, აღსრულდა – 1 318 საქმე. შრომის ანაზღაურებამ შეადგინა 398 677 ლარი, ხარჯი – 505 734 ლარი, მოგება – 251 773 ლარი.

შპს „ქუთაისის №4 შერეული პოლიკლინიკა"

შპს „ქუთაისის მე–4 შერეული პოლიკლინიკა", რომლის 100%-იანი წილის მფლობელია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია, დღეის მდგომარეობით პირველადი ჯანდაცვის ფარგლებში, ამბულატორიულ მომსახურებას უწევს ნიკეასა და სულხან–საბას დასახლების 36 000 ბენეფიციარს.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

პოლიკლინიკის გუნდი ემსახურება, როგორც ბავშვებს, ასევე მოზრდილებს და ზრდასრულ მოქალაქეებს.

2022 წელი პოლიკლინიკისთვის, როგორც წინა წლები, დადებითი ბალანსით დასრულდა (48 000 ლარი), შესაბამისად დივიდენდის სახით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტში გადაირიცხა 41 000 ლარი.

2023 წელს მოხდა ისეთი აპარატურის შეძენა, როგორიცაა ექოსკოპიის აპარატი (41 800 ლარი), აუდიომეტრია - ტიმპანომეტრია (15 000 ლარი), სპირომეტრი (1 700 ლარი).

2022 წლის დეკემბრის თვეში, დაწესებულებამ განმეორებით მოიპოვა ლიცენზია სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ჩატარების უფლებაზე, რის მეშვეობითაც შესაძლებელია ინვალიდობის სტატუსის მინიჭება. 2023 წლის მანძილზე ინვალიდობის სტატუსის მინიჭებაზე სამედიცინო კომისია გაიარა 118–მა ადამიანმა.

2023 წლის განმავლობაში შპს „ქუთაისის №4 შერეული პოლიკლინიკამ" მომსახურება გაუწია 70 504 პაციენტს.

2023 წლის დასაწყისში გამოცხადებულ იქნა ტენდერი „ISO 9001–15–ზე" (ღირებულება 25 000 ლარი), სადაც გაიმარჯვა შპს „მაგნუ ოპუსმა" და აქტიურად მიმდინარეობს აისო სტანდარტის დანერგვა ჩვენს ორგანიზაციაში.

2023 წლის თებერვალი – მარტის თვეში, ჯოენის სამედიცინო ჰოსპიტლის და მეოთხე შერეული პოლიკლინიკის თანამშრომლობით, ჩატარდა 2 უფასო სკრინინგი გულით დაავადებულ ბავშვებში – თანდაყოლილი პათოლოგიების გამოვლენის მიზნით. აქციას მოჰყვა საკმაოდ დიდი გამოხმაურება, რის გამოც საჭირო გახდა განმეორებითი აქციის ჩატარება.

ივნისის თვეში, ჟორდანიას კლინიკის სპეციალისტების მიერ ჩატარდა უფასო გინეკოლოგიური პათოლოგიების მქონე პაციენტების უფასო კონსულტაცია.

ოქტომბერში პოლიკლინიკას სტუმრობდნენ აუდიოლოგები დანიიდან, რომლებმაც ჩაატარეს საქველმოქმედო აქცია სმენადაქვეითებულ ბავშვებში და მოზარდებში.

2023 წელს ქუთაისის №4 შერეული პოლიკლინიკამ შტატში აიყვანა ბავშვთა ენდოკრინოლოგი და ამით მოიპოვა უფლება ჩართულიყო ბავშვთა დიაბეტის მართვის სახელმწიფო პროგრამაში.

2023 წლის დეკემბრის თვეში პოლიკლინიკამ დაიწყო მორიგი აქცია: ქუთაისის ბაღებში სკოლამდელი (5-6 წელი) ასაკის ბავშვებში უფასო სამედიცინო გამოკვლევები.

მზად არის პროექტი პოლიკლინიკის პირველი – სამი სართულის რეაბილიტაციის სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაზე (13 000 ლარი). 2023 წლის პოლიკლინიკის მთლიანმა შემოსავალმა შეადგინა – 1 233 454 ლარი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2023 წელს პოლიკლინიკის ადმინისტრაციის ხელფასი გაიზარდა 10%-ით, ხოლო მედ-პერსონალის კი – 33% -ით.

ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა

ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ბიუჯეტი 2023 წელს შეადგენდა 1 278 000 ლარს. მთელი წლის განმავლობაში ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა 44 342 ადამიანი, ხოლო მკითხველთა რაოდენობამ 747 ადამიანი. გაციფრულდა იშვიათ გამოცემათა 124 ცალი, გაზეთის 2409 გვერდი და განთავსდა „DVD" დისკებზე. რესტავრირდა და აღდგა 285 წიგნი. რესტავრაცია ჩაუტარდა უნიკალური ფონდის 246 გაზეთს. ჩატარდა XV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის დაარსებიდან 150 წლისთავს. აგრეთვე ჩატარდა 3 ბიბლიოთეკის საავტორო კონკურსი „კალიგრაფია ბიბლიოთეკაში", მეათე საიუბილეო ფოტო კონკურსი, ასევე, ლიტერატურული კონკურსი. ორი შეხვედრა გაიმართა მწერალ – პოეტებთან, შეხვედრა ღვაწლმოსილ (დამსახურებულ) ბიბლიოთეკარებთან.

შპს „ქართული ტრადიციები“

2023 წელს შპს „ქართული ტრადიციები 2011“–ის შემოსავლებმა შეადგინა 1086782 ლარი; ხარჯი – 1015100 ლარი, დასაბეგრი მოგება – 71682, მოგების გადასახადი – 10752, წმინდა მოგება – 60930.

შპს „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანია“

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიაში“ დასაქმებულთა რაოდენობა 193 ერთეულს შეადგენდა, აქედან 101 თანამშრომელი სამარშუტო ხაზებზე მომუშავე მძღოლია, 6 ერთეული მერიის და საკრებულოს მძღოლი.

სვლაგეზები და რაოდენობები ეტაპობრივად იცვლებოდა, 2022 წლიდან კომპანიას დაემატა 10 ერთეული მიკროავტობუსი, რომლებიც დღეის მდგომარეობით ემსახურებიან 12 საავტობუსო და 9 მიკროსაავტობუსო სვლაგეზს, 55 ერთეული M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებით და 9 ერთეული M2 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებით, კერძოდ:

2023 წლის განმავლობაში შპს „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის“ მიერ გადაყვანილმა მგზავრთა რაოდენობამ შეადგინა 8,054,933 ადამიანი, საიდანაც სრულად გადასახადისაგან განთავისუფლებული 1,345,375 ადამიანია, აქედან 201,405 შშმ პირი იყო, აუტიზმის სპექტრის მქონე პირები 9,159, მადლიერების სახლის ბენეფიციარი 116,405, მარტოხელა და მრავალშვილიანი დედები 95,652, სოციალურად დაუცველი პირები 553,131, უკრაინის მოქალაქეები 24,531, სკოლის მოსწავლეები 345,092, ხოლო 50%-იანი შეღავათით სარგებლობს 1,446,702 პირი – 13,771 ბაგა-ბაღის თანამშრომელი, 264,965 ბაღის მასწავლებლები (თი-ბი-სი ბანკის ბარათი), 1,167,966 სტუდენტი.

მგზავრობის ღირებულების სახით მიღებული შემოსავალი შეადგენს 3,377,962 ლარს, ხოლო სამგზავრო შეღავათების მქონე პირებზე გაცემულმა შეღავათებმა შეადგინა 1,304,085 ლარი.

2023 წლის განმავლობაში გადაყვანილი მგზავრობის ჯამური სამგზავრო ღირებულების თანხა შეადგენს 4,682,047 ლარს.

2023 წლის განმავლობაში სატრანსპორტო კომპანიამ დამატებითი შემოსავლის სახით მიიღო 46,527 ლარი, სატრანსპორტო მომსახურებიდან 32000 ლარი, ხოლო სარეკლამო ფართის გაქირავებიდან 14,527 ლარი.

შპს „საკალათბურთო კლუბი ქუთაისი 2010“

შპს-ს სუბსიდირებული ბიუჯეტი შეადგენს 1 200 000 ლარს.

შპს „საკალათბურთო კლუბი ქუთაისი 2010“ წარმოდგენილია სუპერლიგის გუნდით, რომელიც ასპარეზობს ქვეყნის შიგნით არსებულ 4 მოქმედ ჩემპიონატზე – სუპერლიგა, საქართველოს თასი, ქორქია – საკანდელიძის მემორიალი, დუდუ დადიანის ტურნირი. 2023 – 2024 წლის სეზონზე კლუბმა მოგებით იასპარეზა დუდუ დადიანის ტურნირზე.

2023-2024 წლის სეზონზე შეიქმნა 22 წლამდელთა გუნდი, რომელიც აქტიურად და წარმატებით ასპარეზობს შიდა თუ გარე ტურნირებზე.

შენიშვნა: წინამდებარე ანგარიში, საკრებულოს 27-ე სხდომაზე, მ/წლის 31 იანვარს წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, იოსებ ხახალეიშვილმა.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია